არასამეწარმეო არაკომერციული
იურიდიული პირი (ააიპ) „ჩერნოვეცკის ფონდი"

ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

Building a better working world

არასამეწარმეო არაკომერციული
იურიდიული პირი (ააიპ) „ჩერნოვეცკის ფონდი“

ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ააიპ „ჩერნოვეცკის ფონდი“

ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 1

ფულადი სახსრების მიღების და გახარჯვის ანგარიშგება 4

ფულადი სახსრების მიღების და გახარჯვის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 5

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

ერნსტ ენდ იანგი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

Building a better working world

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ააიპ „ჩერნოვეცკის ფონდის" დამფუძნებელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ ააიპ „ჩერნოვეცკის ფონდის" (შემდგომში – „ორგანიზაცია") ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების (ერთობლივად მოხსენიებულნი, როგორც „ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება") აუდიტი 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

ჩვენი აზრით, ორგანიზაციის ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ფულადი სახსრების მიღებისა და გაცემის ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველზე, რომელიც აღწერილია ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგების მე-2 შენიშვნაში.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს") შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწერილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგების აუდიტზე"*. ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის" (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი – ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და მოსაზრების გავრცელების შეზღუდვა

გვინდა, ყურადღება გავამახვილოთ ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, სადაც აღწერილია ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგების მომზადების საფუძველი. ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება მომზადებულია ორგანიზაციის მიერ ფულადი სახსრების მიღებისა და გაცემის შესახებ ინფორმაციის დონორებისთვის მიწოდების მიზნით. შესაბამისად, ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება შესაძლოა არ იყოს გამოსადეგი სხვა მიზნებისთვის. ჩვენი დასკვნა განკუთვნილია მხოლოდ ორგანიზაციისა და მისი დონორებისთვის. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის

EY

Building a better working world

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის წინამდებარე ანგარიშგების მომზადებაზე ფულადი სახსრების მიღებისა და გაცემის ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველზე, რომელიც აღწერილია ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგების მე-2 შენიშვნაში, და ანგარიშგების მომზადების საფუძვლის მისაღებობაზე, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგებაზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის გაწზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

Building a better
working world

დამფუძნებელს, სხვა საკითხებთან ერთად ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბსა და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის" სახელით

თბილისი, საქართველო

2020 წლის 17 აგვისტო

ააიპ „ჩერნოვეცკის ფონდი“

ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ლარი	შენიშვნა	2019
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საწყისი ნაშთი		**398,325**
მიღებული ფულადი სახსრები		
იურიდიული პირების მიერ განხორციელებული შენატანები	3	1,701,069
საქველმოქმედო შემოწირულობები		10,915
ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული პირდაპირი შენატანები		271,599
შემოსავალი მიღებული პროდუქციის გაყიდვიდან		66,905
სხვა		2,998
სულ მიღებული ფულადი სახსრები		**2,053,486**
გაცემული ფულადი სახსრები		
შინ მოვლის პროგრამა	4	580,388
პროგრამა მცირე საოჯახო ტიპის სახლები თბილისში	5	167,833
პროგრამა მცირე საოჯახო ტიპის სახლები ქობულეთში	6	258,755
პროგრამა დახმარება სამისამართო პროექტების ბენეფიციარებს	7	174,370
დღის ცენტრის პროგრამა	8	235,294
პროგრამა სასადილოები რეგიონებში	9	113,426
ადმინისტრაციული ხარჯები	10	779,853
სულ გაცემული ფულადი სახსრები		**2,309,919**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი		**141,892**

ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის წინამდებარე ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული და მისი სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 17 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

თეა როყვა

აღმსრულებელი დირექტორი

ევგენია მელგუნოვა

ააიპ „ჩერნოვეცკის ფონდი“

ფულადი სახსრების მიღების და გახარჯვის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

1. ფაქტობრივი გარემოებები

არასამთავრობო ორგანიზაცია ააიპ „ჩერნოვეცკის ფონდი“ („ორგანიზაცია“) 2012 წლის 10 აპრილს დაფუძნდა და დახმარებას უწევს სოციალურად დაუცველ საქართველოს მოქალაქეებს: მრავალშვილიან ოჯახებს, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, საწოლს მიჯაჭვულ ხანდაზმულებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. ორგანიზაციის დამფუძნებელია უკრაინის მოქალაქე ლეონიდ ჩერნოვეცკი. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გორგასლის ხეობისა და კრწანისის ქუჩის, კვეთა 18/19.

ორგანიზაცია ფინანსებს მოიზიდავს დონორებისა და ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული შენატანებით.

2019 წლის განმავლობაში ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს/პროგრამებს:

- შინმოვლის პროგრამა – პროგრამის ბენეფიციარებს შორის არიან საწოლს მიჯაჭვული პაციენტები და ადამიანები, რომლებსაც მზრუნველობა სჭირდებათ, ასევე პაციენტები ქრონიკული დაავადებებით (ძირითადად ხანდაზმული პირები) და გამოჯანმრთელების გზაზე მყოფი პაციენტები. კვალიფიციური ექთნები და მათი თანაშემწეები საჭირო სამედიცინო და ფსიქო-სოციალურ დახმარებას უწევენ საწოლს მიჯაჭვულ პაციენტებს მათსავე სახლებში. ორგანიზაცია ყოველდღიურად უზრუნველყოფს მათ საჭირო მედიკამენტებით, საკვებით, ჰიგიენური საშუალებებითა და სახვევებით. ამ პროექტის განხორციელებაში მონაწილეობენ ექიმები, ექთნები, ექთნების თანაშემწეები, რეკრეაციული თერაპევტები და სოციალური მუშაკები. 2019 წელს ორგანიზაცია ზრუნავდა 511 ბენეფიციარზე.
- პროგრამა მცირე საოჯახო ტიპის სახლები თბილისში – 2013 წლის 28 მაისს ორგანიზაციამ გახსნა ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლი თბილისში. 2019 წლის განმავლობაში თავშესაფარმა შეიფარა 10 მზრუნველობამოკლებული ბავშვი თბილისიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან. ბავშვები მუდმივი მზრუნველობისა და ყურადღების ქვეშ არიან 24 საათის განმავლობაში, რაც მოიცავს მათ განათლებასა და ტანსაცმლით, ფეხსაცმლით თუ სასკოლო ნივთებით სრულად უზრუნველყოფას. ბავშვებს ასევე უტარდებათ ცეკვის, სიმღერის, ტანვარჯიშის, ხატვის, ტენისის და დამატებით გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილები.
- პროგრამა მცირე საოჯახო ტიპის სახლები ქობულეთში – 2014 წლის 23 ნოემბერს ორგანიზაციამ გახსნა ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლი ქობულეთში (საქართველო), რომელიც გათვლილია 20 ბავშვზე. 2019 წლის განმავლობაში პანსიონი მასპინძლობდა 13 ბავშვს უკიდურესად ღარიბი ოჯახებიდან, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. ბავშვებზე მუდმივი მზრუნველობისა და ყურადღების ქვეშ არიან 24 საათის განმავლობაში. ბავშვებისთვის საჭირო აღჭურვილობას, ტექნიკებს მათი განათლებისა და განვითარებისთვის ორგანიზაცია თავად მოიპოვებს. ბავშვები სრულად არიან უზრუნველყოფილები ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და სასკოლო ნივთებით. ბავშვები ასევე ესწრებიან ფორტეპიანოს გაკვეთილებს მუსიკალურ სკოლაში. ბავშვებს ასევე უტარდებათ ცეკვის, სიმღერის, ტანვარჯიშის, ხატვის , ტენისის და დამატებითი გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილები.

ააიპ „ჩერნოვეცკის ფონდი“

ფულადი სახსრების მიღების და გახარჯვის აწგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

1. ფაქტობრივი გარემოებები (გაგრძელება)

- პროგრამა დახმარება სამისამართო პროექტების ბენეფიციარებს – დახმარება მრავალშვილიანი ოჯახებისთვის – პროგრამის მიზანია, დაეხმაროს მოწყვლად ჯგუფებსა და მრავალშვილიან ოჯახებს. ბენეფიციარების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე. ორგანიზაცია ცალ-ცალკე იღებს შემოწირულობებს თითოეული ბენეფიციარისთვის და ეხმარება მათ თავიანთი საჭიროებების დაკმაყოფილებაში. 2019 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ სამედიცინო დახმარება გაუწია, ტანსაცმლით, ჰიგიენის ნივთებით, სპეციალიზირებული აღჭურვილობით, საკვებით, სასკოლო წიგნებითა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით უზრუნველყო 101 ოჯახი.
- დღის ცენტრის პროგრამა. დღის ცენტრი არის სოციალური პროგრამა, რომელიც 2017 წლის მაისში ამოქმედდა. ამ მომსახურებით სარგებლობა ბენეფიციარებს შეუძლიათ ყოველდღე, დღეში ერთხელ. საქველმოქმედო მომსახურებაში შედის: ექიმი, შხაპი, თავისუფალი სილამაზის სალონი, კომპიუტერული კუთხე, ჰუმანიტარული ტანსაცმლის საწყობი, ბიბლიოთეკა და კინოთეატრები. პროგრამით ყოველდღიურად, დღეში ერთხელ სარგებლობენ ბენეფიციარები.
- პროგრამა "სასადილო რეგიონებში" 2019 წლის თებერვალში ქუთაისში გაიხსნა მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის მომსახურების გაწევის მიზნით. ამ პროგრამით სარგებლობა ყოველდღიურად იყო შესაძლებელი დღეში ერთხელ.

2. ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის აწგარიშგების მომზადების საფუძველი

ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის აწგარიშგება მომზადებულია ორგანიზაციის მიერ ფულადი სახსრების მიღებისა და გაცემის შესახებ ინფორმაციის დონორებისთვის მიწოდების მიზნით, ფულადი სახსრების მიღებისა და გაცემის ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველზე, რაც საქართველოში ფართოდ დამკვიდრებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისგან განსხვავებით ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფილი საფუძველია. ამ საფუძვლით შემოსავლის აღიარება ხდება მისი მიღებისას და არა გამომუშავებისას, ხოლო ხარჯებს აღიარებენ მათი გადახდის და არა წარმოშობის მომენტისთვის. იმ ხარჯების შემთხვევაში, რომლებიც კონკრეტულად არ უკავშირდება ორგანიზაციის პროგრამებს, ორგანიზაცია იყენებს თანამშრომელებზე დაფუძნებულ გადანაწილებას პროგრამასა და ადმინისტრაციულ საქმიანობას შორის.

ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ქართული ლარის ვალუტაში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

3. იურიდიული პირების მიერ განხორციელებული შენატანები

იურიდიული პირების მიერ განხორციელებული შენატანები ასეთია:

	2019
Chernovetskyi Investment Georgia	1,121,474
Serviden Enterprises Limited	276,309
თბილისის მერია	203,406
სოციალური მომსახურების სააგენტო	59,626
სხვა იურიდიული პირები	40,254
სულ	**1,701,069**

4. შინმოვლის პროგრამა

შინმოვლის პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული ფულადი სახსრები ასე გამოიყურება:

	2019
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	409,872
მედიკამენტები პროგრამის ბენეფიციარებისთვის	143,769
ქირის ხარჯი	21,052
კომუნალური ხარჯები	5,556
სხვა	139
სულ	**580,388**

შინმოვლის პროგრამა დაიხურა 2019 წლის ოქტომბერში.

5. პროგრამა მცირე საოჯახო ტიპის სახლები თბილისში

მცირე საოჯახო ტიპის სახლები თბილისში პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული ფულადი სახსრები ასე გამოიყურება:

	2019
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	76,219
ქირის ხარჯი	57,333
საკვები	13,734
ტანსაცმელი ბავშვებისთვის	5,603
კომუნალური ხარჯები	3,378
სამედიცინო ხარჯები	1,636
საკანცელარიო საქონელი	1,391
სხვა	8,538
სულ	**167,833**

მცირე საოჯახო ტიპის სახლები თბილისში პროგრამა დაიხურა 2019 წლის სექტემბერში.

6. პროგრამა მცირე საოჯახო ტიპის სახლები ქობულეთში

მცირე საოჯახო ტიპის სახლები ქობულეთში პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული ფულადი სახსრები ასე გამოიყურება:

	2019
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	89,794
ქირის ხარჯი	76,261
საკვები და ჰიგიენური საშუალებები	46,959
კომუნალური ხარჯები	22,236
სამედიცინო ხარჯები	3,007
საკანცელარიო საქონელი	1,492
სხვა	19,006
სულ	**258,755**

მცირე საოჯახო ტიპის სახლები ქობულეთში პროგრამა დაიხურა 2019 წლის სექტემბერში.

7. პროგრამა დახმარება სამისამართო პროექტების ბენეფიციარებს

პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული ფულადი სახსრები ასე გამოიყურება:

	2019
დახმარება სამისამართო პროექტების ბენეფიციარებს	174,370
სულ	**174,370**

8. დღის ცენტრის პროგრამა

დღის ცენტრის პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული ფულადი სახსრები ასე გამოიყურება:

	2019
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	133,957
საკვები	59,154
ქირის ხარჯი	25,262
კომუნალური ხარჯები	6,668
ჰიგიენური საშუალებები	2,509
სამედიცინო ხარჯები	868
სხვა	6,876
სულ	**235,294**

დღის ცენტრის პროგრამა დაიხურა 2019 წლის აპრილში.

9. პროგრამა სასადილოები რეგიონებში

ქუთაისისა სასადილოს პროგრამებთან დაკავშირებით გაცემული ფულადი სახსრები ასე გამოიყურება:

	2019
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	50,931
საკვები	26,812
ქირის ხარჯი	28,461
კომუნალური ხარჯები	4,089
ჰიგიენური საშუალებები	1,269
სხვა	1,864
სულ	**113,426**

პროგრამა სასადილოები რეგიონში დაიხურა 2019 წლის აპრილში.

10. ადმინისტრაციული ხარჯები

	2019
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	351,884
მარკეტინგის ხარჯები	183,395
ქირის ხარჯი	79,998
კომუნალური ხარჯები	25,313
პროგრამული უზრუნველყოფა	24,927
ავეჯი და ტექნიკა	22,883
საკანცელარიო საქონელი	2,798
ბანკის საკომისიო გადასახადები	1,778
დაცვის მომსახურება	1,620
ჰიგიენური საშუალებები	1,057
სხვა	84,200
სულ	**779,853**

2019 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ, ხელფასის სახით, ორგანიზაციის ხელმძღვანელობას გადაუხადა 59,880 ლარი.

2019 წელს ორგანიზაციის თანამშრომელთა რაოდენობა 74 იყო, მათ შორის ადმინისტრაციული ფუნქციების მქონე 16 თანამშრომელი და სპეციალურ პროგრამებზე მომუშავე 58 თანამშრომელი.

11. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ორგანიზაცია ახორციელებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეები არიან ფიზიკური პირები (და მათი უშუალო ოჯახის წევრები) / იურიდიული პირები, რომლებიც კონტროლს ახორციელებენ ან მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ორგანიზაციაზე.

ორგანიზაციის მთავარი დონორი და დამფუძნებელია ლეონიდ ჩერნოვეცკი. 2019 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ საქველმოქმედო შემოწირულობის სახით მიიღო 1,121,474 ლარი და 276,309 ლარი შპს ჩერნოვეცკი ინვესტმენტ ჯორჯია და „Serviden Enterprises Limited“ისგან, შესაბამისად. აღნიშნული კომპანიები იმყოფებიან ლეონიდ ჩერნოვეცკის კონტროლის ქვეშ.